ფასი—10 კ.

№ 32.—1914 12 ოქტომბერი

გერმანიის წინააღმდეგ გალაშქრებულ სახელმწიფოთა მმართველნი

1) რუსეთის მეფე ნიკოლოზ მე-II, 2) ინგლისის მეფე გეორგი, 3) ბელგიის მეფე ალბერტი, 4) საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი პუანკარე, 5) სერბიის მეფე პეტრე, 6) ჩერნოგორიის მეფე ნიკოლოზი, 7) იაპონიის—მიკადო.

„თეატრი და ცხოვრება“

№ 32

შინაარსი:

1. **მეთაური** — საზოგადოებრ. წყლულნი 1
2. **ივ. გომართელი** — პატარა წერილები 2
3. **გ. ქუჩიშვილი** — ლექსი: მგზავრი 3
4. **ს. ერთაწმინდელი** — სასაფლაოზეც „
5. **ილ ჩხერიმელისპირელი** — *** ლექსი ნეკრასოვიდან 4
6. **სოფ. მგალობლიშვილი** — ქართველ მწერალთა წერილები 5
7. **სევდია** — უკანასკნელი სალამი 7
8. **ნ. ჯიხაიშელი** — საჭიროა საყოველთაო დახმარება 9
9. **მთის ნიავი** — კითხვები, ლექსი. „
10. **სიტყვა და სხვანი** — ქართული თეატრის დაწვის გამო 10
11. **თათბირი** 11
12. **ივ. მჭედლიშვილი** — საუბარი ბეჭდვითი საქმის ხელოვნებაზე 12
13. **ჭ-ნი; მეგობარი** — ქართული სახიობა 13
14. **შემოწირულება ქართულ თეატრის ასაშენებლად** 15
15. **წვრილი ამბები** 16

სურათები; განცხადებანი.

„თეატრი და ცხოვრება“ — „ეროვნული ბიბლიოთეკა“

რედაქციის დროებითი ბინა იმეორებს „ეროვნულ ბიბლიოთეკა“-ს სტამბის კანტორაში (მაღალ ფეხ-ძულზე, № 1). სარედაქციო საქმეებზე მოლაპარაკებანი შეიძლება დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს.

ყურ. „თეატრი და ცხოვრება“ 5 ქო-დან ამა წლის ბოლომდე გაგზავნით ჭდირს **ორი (2) მ.** ფული და მისამართი უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ, ред. жур. „Театри да Цховреба“ **Іос. Имедашвили.**

ახალი გამოცემა იოს. იმედაშვილისა № 52

დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა **ტრ. რამიშვილის** ახალი სამ-მოქმედებიანი დრამა

დედინაცვალი

ფასი 20 კ., ვინც ნადდად იყიდის ათს წიგნზე მეტს, დაეთმობა 30%. საწყობი „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში. მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ — **Іос. Имедашвили** (10—1)

ექ. ი. ბოლმართელი

უკვე თბილისს დაბრუნდა. ავადმყოფებს მიიღებს ახალ ბინაზე (ანასტასიევის ქ. № 8, ვერისკენ) დილით 8—11 ს., საღამოთი 5—7 ს.

ტელეფ. 6-33.

ქართული წარმოდგენა

„არტისტიულ საზ. თეატრში“

ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს

ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ყაჩაღები

ტრაგ. 5 მოქ. 9 სურ. შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა

მონაწილეობს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები იყიდება კასაში

დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი **მ. ქორელი** **ქართ. დრამ. საზ. გამგეობა**

№ 32 თეატრი და ცხოვრება
18 ივლ 1914 წლის

თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 32

წ. II

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალ-კე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ-დრამატ. საზოგ. კანტორაში და „სორაპან“ სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, ред „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდე-ბა.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შეს-წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., ხაღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 32 კვირა 12 ღვინობისთვე 1914 წ.

12 ღვინობისთვე

საზოგადოებრივი წყლულნი

ავი პატრონი მტერ-ზედაც უარესიაო, ტყუ-ილად კი არ არის ნათ-ქვამი.

და საითაც გაიხედავთ, თითქოს სწორედ ეს ავი პატრონები მესვეურობენ ჩვენს საზო-გადო დაწესებულებათ...

ავი თუ არა, მოქანცული, მოღლილი, უქნარი და თაოსნობას მოკლებული მაინც!..

მამათა რკინის ხასიათით შექმნილი საქ-მენი მათს ხელში უსიცოცხლოდ ლაფავს სულს, წინა თაობათა გარჯილობით მოგროვი-ლი ქონება მათის დაუდევრობით ინთქმება და ილუპება!..

ასე დაილუპა ამ დღეებში მთელი ქართ-ველი ერის გროშობით შეგროვილი **ქართველ-თა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების** ქონება!

ასე დაინთქა ჩვენი წმიდათა წმიდა—ქართული თეატრი!..

დიდი ხანი არ არის, გამოაშკარავდა, ერთს ქართულ არა ნაკლებ წმიდა დაწესებულება-ში რა ულმერთოდ ჰქურდავდენ ქართველ მშიერ-მწყურვალ მოწაფეთ.

და ყოველივე ეს ჰხდებოდა უპატრონო-ბით ანუ ავი მეპატრონეობით.

აი უდიდესი ცეცხლი ჩვენი საზოგადოე-ბისა და არა ის, რომელმაც 25 ენკენისთვეს შეგვაძრწუნა!..

გვითქვამს და კვალადაც ვიტყვით, ქართ-ველი ქედს არ მოუდრეკს ამ უცაბედ ზა-რალს—25 ენკენისთვეს შემთხვეულს:—რო-გორც წ. კ. ს. ქონებას, ისე ქართულ თე-ატრს აღადგენს,—საზოგადოებამ უკვე დაიწ-ყო უხვი შემოწირულება და კომიტეტიც შესდგა თეატრის აღსადგენად, მაგრამ..

როდემდის, ბატონებო, როდემდის უნდა ვიყვნეთ მსხვერპლი ზოგიერთ უპასუხმგებ-ლო ვაჟბატონთა, სამწუხაროდ საზოგადო მოღვაწის სახელით მონათლულთა?!

როდემდის უნდა ეპატრონებოდენ ქართ-ველი ხალხის წვა-დაგვით მოგროვილ ქონე-ბას ზნეობრივად და ქონებრივად უპასუხის-მგებლო „მოღვაწენი“?!

წ. კ. ს. ქონებას ვითომ და მთელი საზოგადოებისაგან რჩეულნი ჰპატრონობდენ და იმდენი ვერ მოახერხეს—თვისი მდი-დარი საწყობნი ღირებულების ნახევარ-ში მაინც დაეზღვევნათ, რომ სრულიად არ დანთქმულიყო 60-70 ათასი მანათის ქონება!

ქართულ თეატრს მიჩენილი ჰყავს თითქ-მის მთელი სამი წყება მეთვალყურეთა: თავ.-აზნ. ქარვასლის გამგე-პატრონი ინჟინერი თვისი ხელქვეითებით, ქონების საგანგებო ადმინისტრაცია, ქარ. დრამ. საზოგადოების გამგეობა და თეატრი მაინც ისე დაიწვა, რომ ჯერაც არავინ იცის—ცეცხლი საიდან გაჩნ-და, რატომ თეატრში წყალი არ აღმოჩნდა (აშენებისას კი გვპირდებოდენ—ისეა მოწყო-ბილი, თვალის დახამხამებაში წარღვნას მო-ვუგდებთ, რომ მოვინდომოთო), მთელი ამოდენა ქონება, თითქმის ნახევარ მილიო-ნად ღირებული, რაღაც ხუთ თუ ათი ათას თუმანში [illegible] დაზღვეული და... ნუ თუ ეს ბოროტ-მოქმედება თუ არა, დაუდევრობა მაინც არ არის, რომელიც განზრახ ბოროტ-

მოქმედებაზე ნაკლებ დანაშაულობად არ ჩაითვლება?!

ამ ცეცხლმა და სხვა ამბებმა ნათლად გამოაჩინა ჩვენი—ქართველთა უდიდესი წყლული, რომელზედაც არა ერთ გზის გვილაპარაკნია,—სახელდობრ: საზოგადო საქმეთა სათავეში ჩამდგართა ზნეობრივ-ქონებრივი უპასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე!..

დაუკვირდით, თუ ასე არაა:

დიდი ხანი არ არის, რაც ქართველ მოწაფეთა გროშობით შეკრეფილი ფული, 7000 მანეთამდე, მის შემნახველად მიწვეულმა გაფლანგა, არ გასულა მეტი ხანი—იმავე დაწესებულებაში აღმოჩნდა, რომ მეორესაც რამდენიმე ათასამდე მიუთვისებია.., ამ სამარცხვინო ამბისათვის ჯერ ანგარიში არ გაგვეწივნა, რომ თეატრი და წ. კ. ს. დაგვეწვა.. ამ დანაკარგით გულ-გახეთქილთ კისერი არც კი მოგვეფხანა, რომ შევიტყეთ—რა დიდათ დავზარალდით: სხვები ცეცხლის გაჩენით თუ მეორე დღესვე ახალ შენობას იწყებენ, უფრო უკეთესს, რადგან დანაზღვევს იღებენ, ჩვენ ხელახლად უნდა შევაგროვოთ წვალდაგვით ფული, რომ დანაკლისი შევივსოთ..

ვიმეორებ, ჩვენი ქვეყანა საჭირო თანხას კიდევ გამოიღებს, მაგრამ ეს როდი კმარა! საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა გამოძიებულ იქმნას, ვისი დაუდევრობით, ვისი ბაბაყულობით დაეღუპა ქართველ ხალხს ამოდენა ქონება, რომ დამნაშავენი და მათი ხელდამფარებელნი იურიდიულ თუ არა, ზნეობრივ პასუხისგებაში მაინც მიეცნენ*), რათა ერთხელ და სამუდამოდ შეიტყონ სქელკანა ვაჟბატონთა, შემთხვევით საზოგადო საქმის სათავეში ჩამდგართა, რომ საზოგადო საქმებისადმი უყურადღებობასა და მის დამხობას ხალხი არავის აპატიებს,—თვითმართველობას ვეპოტინებით და ამ მხრით მაინც გამოვიჩინოთ თავის თავის პატრონობა, — მეორეს მხრით საჭიროა ყოველ საზოგადო საქმის სათავეში ისეთი მოსაქმე ხალხი ჩავაყენოთ, იმგვარი წესები დავადგინოთ და პასუხისმგებლობა გავაჩინოთ, რომ არავის არას გზით არ შეეძლოს არც განზრახ ბოროტმოქმედება, არც უნებლიეთი შეცოდება, არც დაუდევრობა!..

ვეცადნეთ, შემდეგში მაინც ავიცდინოთ თავიდან ასეთი ზარალი და მათი შემამთხვევველნი!..

---

*) ეს წერილი უკვე დასაბეჭდად გამზადებული გვქონდა, როდესაც პატივცემულ ჟურ. „კლდე"-ში მოთავსებული წერილი წავიკითხეთ, რომლის ავტორიც სამართლიანად თხოულობს ქართ. გიმნაზიაში აღმოჩენილ მძარცველთა პასუხისგებაში მიცემას. მაგრამ მარტო კერძო პირთა დამნაშავის სკამზე დაბრძანება არა კმარა! საჭიროა ნათელი მოეფინოს მთელ იმ წესწყობას, რომლის მოწყალებითაც შეიქმნა ასეთი ბოროტმოქმედება. იმავე ჟურნალის ცნობით სჩანს, ვითომც ამ ძარცვის ამბავი ბევრს საზოგადო მოღვაწეს სცოდნოდეს, მაგრამ... თურმე სულგრძელად სდუმდენ. ეს თუ მართალია, მაშინ... განა ზნეობრივი გაკოტრება ამაზე შორს-ღა წავა?!

პატარა წერილები

რა უკვდავიც უნდა იყოს რომელიმე ადამიანი, უწინარეს ყოვლისა ის ადამიანია და ამიტომ შეუმცდარიც არ იქნება. მიუხედავად ამისა ყოველი გამოჩენილი მოაზროვნეს პირველ მიმდევრებს ღრმათა სწამთ თვისი მასწავლებლის ყოველი სიტყვა, ყოველი აზრის ულრმესი სიმართლე და ჭეშმარიტება.

აიღეთ ტოლსტოი. ტოლსტოის მიმდევრებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ იმის მოძღვრებაში რაიმე შეცდომა იყოს.

როდესაც მარქსის დიადმა მოძღვრებამ სწრაფად მოიკიდა ფეხი მთელს ევროპაში, მისი მიმდევრები დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ მოძღვრებაში არავითარი შეცდომა არ მოიპოებოდა.

გავიდა დრო და ევროპის ესდეკებისათვის ზოგიერთი წვრილმანი შეცდომები მარქსის მოძღვრებაში ცხადზედ ცხადი შეიქმნა

მაგრამ ის, რაც ევროპაში ცხადია, ჩვენში სქელი ბურუსით არის მოცული და, რაც ევროპაში დაძველდება, ის ჩვენში ახალ ხილად საღდება.

როდესაც მანიფესტში პირველად წაიკითხეს: პროლეტარებს სამშობლო არ გააჩნიათო, ქველა მუშა გაიძახოდა: მე სამშობლო არ გამაჩნიაო. სინამდვილეშ ევრო-

პის ესდეკებს სულ სხვა დაანახვა ჩვენში კი ისევ გაიძახიან: სამშობლო ნაციონალისტების მოგონილიაო.

ევროპის ესდეკები შემდეგ და შემდეგ დარწმუნდენ, რომ მარქსის ზემოხსენებული აზრი პუბლიცისტიკა იყო და არა მეცნიერება და სამშობლოს საკითხის მედგარ რკვევას შეუდგნენ.

ამ რკვევას შედეგად მოჰყვა ბებელის სიტყვები: პატრიოტიზმი ინტერნაციონალიზმს სრულებით არ ეწინააღმდეგება და ორივე ეს მცნება ერთიმეორის დამატება არისო.

ჩვენშიკი მამულიშვილობასა და ხულიგანობას ერთგვარი ფასი აქვს.

რუსეთში თუ ვისიმე შეურაცხყოფა უნდათ, ხულიგანს უძახიან; ჩვენშიკი მამულიშვილს.

სოციალდემოკრატიული მოძღვრება რომ სრულებით არ ნიშნავს სამშობლოს უარყოფას, ამის თვალსაჩინო მაგალითს დღეს გერმანია წარმოადგენს.

როდესაც გერმანელთა სამშობლო განსაცდელში ჩავარდა, მარქსის სიტყვები: პროლეტარებს სამშობლო არ გააჩნიათო, მისმა მიმდევრებმა შემდეგი სიტყვებით შესცვალეს: გერმანიის პროლეტარებო, იარაღი აისხით თქვენი სამშობლოს დასაცავათაო.

ეს ქადაგება სამშობლოს დაცვის შესახებ იქაურ მუშა ხალხში იმდენად ძლიერია, რომ გაზეთების ცნობით, ვილჰელმმა ბრძანება გასცა: ჯარში ნუ ეწინააღმდეგებით სოციალდემოკრატიულ გამოცემათა გავრცელებასო.

რეიხსტაგში ს. დ. ფრაქციამ დაადასტურა ხუთმილიარდიანი სამხედრო ბიუჯეტი და ფრაქციის პრეზიდენტმა ჰააზემ სხვათა შორის წარმოსთქვა:

„ამ განსაცდელის დროს, როცა საკითხი ეხება სამშობლოს დაცვას და ამ მიზნით ფინანსიურ წყაროების გამონახვას, ჩვენ უსიტყვოდ სამშობლოს მხარეზე უნდა დავსდგეთო".

ამის წინად ლიუნეველთან ბრძოლაში მოჰკლეს სოციალდემოკრატიული ფრაქციის წევრი ფრანკი. ბრძოლის ველიდან მონაწერ ერთ წერილში ის სხვათა შორის სწერს: ბედნიერი ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა, სამშობლოსათვის სისხლი დავღვაროვო.

რასაკვირველია, ყოველივე ის, რაც ჩვენს გაზეთებში იყო, მხოლოდ აჩრდილია იმ ძლიერი ეროვნული აღფრთოვანებისა, რაც გერმანიის სოციალდემოკრატიაში გამოიწვია ამ ომმა.

გერმანიის ესდეკების მაგალითი ცხადად ამტკიცებს რომ, მამულიშვილობა, სამშობლოს მიწაწყლის დაცვა უწმინდესი მოვალეობაა მუშახალხისა და ამგვარი მოქმედება არ ეწინააღმდეგება არც მუშა ხალხის მსოფლმხედველობას, არც იმის საბოლოო მიზანს.

[signature]

მგზავრი

სოფელო გძინავს... მე კი არ ვიცი
სად დავჰყო ღამე... სად დავისვენო?...
მუხლნი მეკვეთნენ... სვლა აღარ ძალმიძს..
გამეხმაურეთ ადამის ძენო!..

ირგვლივ სიწყნარე... სიცარიელე..
საით წავიდე... სად გავითენო?..
არავინა სჩანს... არავინა სჩანს...
ჩაგძინებიათ თქვენც სოფლის ძენო!..

[signature]

სასაფლაოზედ

(სურათი)

საღამოს ჟამი ახლოვდებოდა...

მზე ჩადიოდა, თითქმის-ხეობას ემშვიდობებოდა და რკონის მწვერვალთ ეფარებოდა. თრიალეთიდან ნატყორცნი ნიავი დაჰსისინებდა ფავნისის ნანგრევთ—სიმბოლოს და მესაიდუმლეს მრავალ საუკუნეთა.

პატარა კორდზე ნაშენ სამეფოს დუმილისას—სასაფლაოს—ეძინა; აქ არ ისმოდა ჩივილი ცხოვრების უკმაყოფილოთა, აქ არ აღწევდა ქვითინი და სიცილი სიცოცხლის დაუდგრომელ ტალღებ-

ში მსრბოლავთა. არ ბგერდენ ბაგენი გრძნობისა მთქმელნი, არ სჩანდა ტანჯვა წუხილის მგვრელი.

ორი მგზავრი სასაფლაოსკენ მოიჩქაროდა; ერთსა მათგანსა ავშარით უკან მოჰყავდა ცხენი. რა მოვიდნენ პირ-ჯვარი გადაისახეს და თაყვანი სცეს წმიდა ნაშთებსა მუხლმოყრილებმა. შემდეგ მივიდნენ მწკრივად მყოფ სამ სამარესთან და შეჩერდნენ.

—აი, შვილო, ხომ ჰხედავ საფლავს მამიშენისას, რომელსაც უმშვენებენ მხრებს შენი უფროსი ძმანი?...

— ვხედავ, დედილო.

— მათ შეასრულეს კაცური ვალი.

— ნეტარება მათ!

— გაფიცებ, შვილო, რაც დაგავალე, რომ აღასრულო.

— ვფიცავ!

— თან გამოგყვება ლოცვა ჩემი და კურთხევა აქ განსვენებულთა. შენ დაამტკიცე, ჩემო იმედო, რომ შენში—ვით უფროს ძმათა ძარღვებში—სჩქეფს სისხლი მამიშენისა.

—ნათლით მოსილო...

— რაც უნდა ცხოვრებით უკმაყოფილო იყო შვილო, და აწმყო დროება შენ სურვილთ არ ეთანხმებოდეს, მაინც დაედვე მტლად ქვეყნის გასაჭირს—ვით წინაპრები— თუ-კი უშველი ამით ჩაგრულებს.

— ოჰ, დედა-ჩემო!..

— მტერთ შეუტიე.

— დე, აღგისრულდეს სურვილი ეგე.

— მოდი შვილო და ჩამეკარ გულში...

ამ სიტყვებთან ერთად ჩაიხუტა უბეში თავის მასაზრდოებელი, ერთად-ერთი შვილი და დაუკოცნა თვალები. შვილიც თავის მხრით ემბორა დედის ძუძუებს და დაიჩოქა. მშობელმა ერთი ხელი დაადო თავზე და მეორე აღიღო მაღლა:

— ჰოი, მარიამ, მშობელო ღვთისავ, წმიდა ესტატე ერთაწმინდისა კვართა უფლისავ წმიდა გიორგივ ზეგარდისავ თქვენ შეეწიეთ ჩემსა ბიჭიკოს. შენ შემოქმედო, მაღალო ღმერთო. გადააფარე მფარველი კალთა ფავნისის ძალო გაჰყე თან მხსნელად; და მიეც შვება შვილს იმ ტანჯულ ერის, რომელმაც მრავალჯერ ასახელა თვისი პაწია სამშობლო

— ამინ!..—დაუმატა შვილმა და წამოდგა, უკანასკნელად გადაეხვია დედას, ნაღვლიანად გაჰხედა აშურიანის ველს, გავაზე ხელი გადაუსვა თავის კოხტას და შეჯდა.

—თუ შეგარცხვინო, შხამად გარდმექცეს ამაგი შენი!..—ეს-ღა უთხრა დედას, შემოჰკრა მათრახი ცხენს და გაჰქუსლა იქით, საითაც იწვევდა მოვალეობა.

დედა-კი იდგა მარტოდ მარტო და გაჰყურებდა შვილს მიმავალს.

—წავიდა, მაგრამ დაბრუნდება?..—ესა სთქვა და მოხუც სახეზე ცრემლებმა დაუწყეს დენა. დაიჩოქა და აღაპყრო ხელნი სალოცავათა

—ნაუ!. ნაუ!...—გაისმა პატარა ზარის ხმა მიცვალებულთა სავანეთზედა და ირგვლივ წიაღს მიმოეფინა

რეკავდა დედა, იხმობდა მზაძველთ და იხდიდა უკანასკნელ ვალს...

ს. ერთაწმინდელი

* * *

(ნეკრასოვისა)

როს ვისმენ ომის ამბავს საზარელს
და ვთვლი მეომრებს ახალ-ახლად მკვდარს,
მე არ ვიბრალებ თვით მოკლულ გმირსა,
არც იმის ცოლსა და არც მეგობარს.
ვიცი, რომ ცოლი ნუგეშს მიიღებს,
და მეგობარსაც, რაც ხშირად ხდება,
თვის მეგობარი, ძმად შენაფიცი,
საფლავს გარეშე დაავიწყდება.
გარნა სადღაც არს ერთი არსება:
მას კი სამუდმოდ ენახსოვრება.
ლიქვნით აღსავსე საქმეთა შორის,
შორის სიბილწის და ფუჭ ცხოვრების,
ვიხილე ერთი წრფელი ცრემლები —
ცრემლნი საბრალო მშობელ დედების.
ვერ დაივიწყვენ ისინი თვის შვილთ,
ბრძოლისა ველზე გულგაგმირულებს,
ისე, ვით ძეწნა ვერ აწევს მაღლა
ტოტებსა თვისსა ძირს დადუნულებს.

ილ. ჩხერიმელისპირელი

ქართველ მწერალთა წერილები

პეტრე უმიკაშვილი

(1861 წ. გადაღებული)

(დასასრული. იხ. „თ.და ც“. № 29)

მე პეტრე დაახლოებით კვიცან ჯერ ისევ შეგირდობაში. როდესაც გ. წერეთელმა „სასოფლო გაზეთს“ თავი დაანება, პეტრემ იკისრა მისი რედაქტორობა. პეტრესთან ხშირად დადიოდა ასონ ნათაძე, მამა ჩვენში კარგად ცნობილ ახალგაზდა მოდვაწე ნა ძეებისა. ასონ ნათაძე შრომობდა „კრებულში“; დიდს იმედს იძლეოდა თავისი ნიჭითა, მაგრამ ცხოვრებაში სხვადასხვა მწარე შემთხვევამ ლიტერატურას ჩამოაშორა იგი, ეს ნიჭიერი და მჭერმეტყველი ადამიანი. პეტრემ ნათაძეს მიანდო „სასოფლო გაზეთის“ შედგენა. ნათაძემ კორექტურას სწორება შემასწავლა და ჩამბა მუშაობაში, პატარ-პატარა სამეცნიერო წერილებს გამზადებდი გაზეთისათვის. აი ამ დროს ხშირად დავიარებოდი პეტრესთან, ამასთანავე მიგვქონდა სემინარიელების ხელთ-აწერი ქართული ჟურნალი „შრომა“!

ოთხმოცდაათიან წლებში პეტრეს ვხედავთ ნიკ. დოდობერაძის შვი ქვის წარმოების გამგეად. გადმოსახლდა იმერეთს. აქ ხშირად ვხვდებოდი პეტრესა, იგი ხშირად ჩამოდიოდა ფოთს, სადაც მაშინ მე ვმსახურობდი გურიის-სამეგრელოს ეპარქიალურ კანცელარიის მდივნად. პეტრე მაშინ გახალისებული იყო, კარს ეხვევნენ ნიჭიერი ახალგაზდები, ეტრფოდა მათ. უყვარდა იგინი და, თუ კი რამე შეეძლო, ხელს უმართავდა. მას ეხვევნენ კარს ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი), თეოდორე კიკვაძე, ვიქტორ დარჩია, ფილიპე გოგიჩაიშვილი და სხვ. პეტრემ გამაცნო ეგნატე ნინოშვილი უვირილის სადგურზე. ნაწერებიო ვიცნობდი და ბრალად კი ჯერ არ მენახა. გაცნობისას პეტრემ წაუმძღვარა წინასიტყვაობა. შეგატყვე, რომ ვრცლად კაბამდა და დრო კი ნებას არ იძლეოდა, გავაწყვეტინე და ვუთხარი: „დამაცა, ერთი გამოგელაპარაკო ეგნატეს, ნაწერებიო ვიცი მაზე უველა ის, რაც გინდა სთქვას-მეთქი“. ამ შეხვედრის შემდეგ დიდხანს ადარ დასცალდა ეგნატეს; სიკვდილმა მალე გამოგვტაცა იგი. მე იგი ვნახე ზაფხულში, კარგად არ მახსოვს 1893 თუ 1894 წ. ავადმყოფობას თვისი დადი დაესვა უკვე. შემაწუხა მისმა ნახვამ. ნეტა არ მენახა-მეთქი, ვუთხარ პეტრეს, ისევ შორიდან დავმტკბარვიყავ მისი ნაწერებით, ის მერჩივნა-მეთქი.

მე შემრჩა ორი წერილი პეტრესი. თუმცა თარიღი არ აზის, მაგრამ ეს წერილები ეკუთვნის 1884 წ. მარტის თვეს, როდესაც ადიძრა ქუთაისში სემინარიის დაარსებაზე ლაპარაკი. ამ დროს საბლერი იყო ჩამოსული გაბრიელ ეპისკოპოსთან ქუთაისს. სწორედ იმ დღეებში მეც ვიყავ ქუთაისს, სადაც შემხვდა გაჭირვებული ახალგაზდა იონა ქოიავა, ჩემი კარგი ნაცნობი. შემაწუხა მისმა ნაამბობმა თავის გაჭირბაზე, განეზრახა თავის მოკვდა, დავაშომინე, მშიერ-მწყურვალი დავაპურე და დავპირდი, ან ფოთში გიშოვი ადგილს მასწავლებლობისას, ან ჭიათურაში-მეთქი. მივსწერე პეტრე უმიკაშვილს ამის შესახებ წერილი. პეტრემ მალე გამცა პასუხი. (დაცულია ავტორის მართლწერა).

„ძმაო სოფრომ! თქვენი წერილი 10 ამ თვეს მოწერილი ზესტაფონს მოსულიყო ჩემ ბათუმში ყოფნის დროს და ამის გამო პასუხი დროზე ვერ გაცნობეთ იონა ქოიავას შესახებ. დიდად მაწუხებს ის გარემოება რომ პირველის თქვენის თხოვნის დაკმაყოფილება ვერ შემიძლია და ღონისძიება არა მაქვს ავასრულო. ამ ჟამად ქვის წარმოების საქმე ისე გაჩაღებული არ არის. რამდენიმე წინად ნამყოფი და გამოცდილი

ნ. ღოღობერიძის კანტორებში უნდა განთავისუფლებულიყვნენ და რადგანაც საქმე არ იყო, დავითხოვეთ. ამ ჟამად ღონისძიება არ არის უადგილობის გამო ვინმე მივიღოთ ნ. ღოღობერიძის რომელსამე კანტორაში. შემდეგში ჯერ-ჯერობით არ ვიცით საქმე როგორ იქნება, რკინის გზამ ქიათურისამ შესცვალა ქვის წარმოების ხასიათი და თუ შესაძლებელი იქნება, მხედველობაში გვეყოლება თქვენი ნაცნობი ქოიავა. ამას კი ვიტყვი დროებით ყმაწვილის კაცისათვის ამ საქმეში ყოფნა სასარგებლო არ იქნება. მაგრამ მაინც როდესაც ადგილი გამოჩნდება გაცოდინებთ. თქვენც მოგვაგონეთ, ხომ იცით კაცნი ვართ გულმავიწყობა შესაძლებელია.—მიხარიან ქუთაისში სემინარიის გახსნა თუ მართალია".

თქვენი პატივის მცემელი

პეტრე უმიკაშვილი

P. S. ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. ღოღობერიძის კანტორაში მსახურებს ერთი ყმაწვილი კაცი ჯუმათელი (ეპისკოპოზი კი არ გეგონოთ), პრიჩეტნიკად ითვლება, დარჩია (ნურც ფირალი გეგონოთ, სახელად ვიქტორ*.) ამ ჟამად ბლაღოჩინი (კალანდარიშვილი) გამოუცვლიათ და სხვა ღორი ბლაღოჩინი დაუნიშნავთ. პრიჩეტნიკად არის სამხედრო ბეგარის ასაცილებლად, კურთხევას კი არ აპირებს. შესაძლებელია ახალმა ბლაღოჩინმა დარჩიას შესახებ ასტეხოს ლაპარაკი, თქვენ უნდა დაგვეხმაროთ და დააჩუმოთ. გთხოვთ თუ რამე ქაღალდი შემოიტანა, ახალმა ბლაღოჩინმა, შემატყობინოთ. დიდათ მადლობელი ვიქნები. კარგი ყმაწვილი კაცია და მისი დახმარება სასურველია, რომ უსიამოვნობა არა შეემთხვეს რა. ეპისკოპოზ გრიგოლს ნურაფერს ეტყვით, თუმცა მან დარჩიას ამბავი იცის, რომ სემენარიელია და სამხედრო ბეგარას ასაცილებლად პრიჩეტნიკათ ჩეეწერა. დარჩიას მაგიერ სხვა დანიშნა ეპისკოპოზმა მის თანამდებობის აღმასრულებლად. როდესაც შემთხვევა მოგეცემა და გაიცნობ ვიქტორ დარჩიას მის პატიოსნებაზე და გონივრობაზე დარწმუნდები, რომ ღირსია ყოვლის მხრით ჩვენის დახმარებისა და პატივისცემისა".

თქვენი ისევე **პეტრე უმიკაშვილი**

თუმცა პეტრე მაფრთხილებდა, ეპისკოპოზ გრიგოლს ნუ გაუზიარებ ჩემ თხოვნასაო, მაგრამ მე მაინც ვუთხარი. გრიგოლ ეპისკოპოზი (დადიანი) დიდად პატივისმცემელი იყო ჩვენი მესამოცე წლების მწერლებისა და პირადათაც კარგად იცნობდა ყველას თბილისიდან, სადაც გრიგოლმა დიდხანს იმსახურა სასინოდო კანტორის წევრად. რასაკვირველია, სურვილი აუსრულეთ პეტრეს. მაინც თვით დარჩიაც გამოგზავნა ჩემთან შემდ-გის წერილითა:

„სოფრომ! წინად რომ გთხოვე ვიქტორ დარჩიას შესახებ სამხედრო ბეგარის თაობაზე, ამ წერილის მომტანი ყმაწვილი კაცია და გთხოვ იცნობდე და დახმარება აღმოუჩინო, თუ რაიმე დაბრკოლება ჰქონდეს. იმედი მაქვს შენი კეთილის გულისა, რაც კი შეიძლება არ დაიშურებ ჩემს სათხოვარისათვის. ამ კვირას იქნება ფოთს გესტუმროთ რამდენიმე დღით გემის გასვლის დროს და ბევრი რამ ერთმანერთის სათქმელი გვექნება. ამას წინად ერთი დღე ვიყავი და ვერა გნახე. ახლა ეგებ ჯავრი ამოვიყარო".

მარად პატივისმცემელი **პეტრე უმიკაშვილი**

მართლა რომ ჯავრი ამოიყარა პეტრემ ლაპარაკისა. ეპისკოპოზთან მივიყვანე, სადილად დაიწვია. გაიშალა ლუკულისებური სუფრა. პეტრემ მოროთ ლაპარაკი ნ. ღოღობერიძის წარმოებაზე, გაუშემდა პურის ლუკმა ხელში და გააბა. გაგვაცნო ნიკოს მისწრაფებანი, მისი სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი. დიდი მოვლენაა მეუფევ ამისთანა საქმეებით: ჯერ ერთი ესა, ჩვენმა უმაწვილებმა ადაგები იშოვეს. ლუკმა პურსა სჭამენ და ესწრაფებიან თვით განვითარებასაო. თვით ნ. ღოღობერიძეს თავისი სარჩო-საბადებელი, თვისი ქონება ქართული საზოგადო საქმეებისათვის უნდაო.

— პეტრევ ჩემო, თუმცა მაცხოვარს უბძანებია—უთხრა გრიგოლ ეპისკოპოზმა,—არა ერთი პურითა მაძღარ იქმნების კაციო, არამედ სიტყვითა ღვთისათაო, მაგრამ უპუროთაც ძნელია ცხოვრება, მიირთვით რამე, მშიერი არ დამრჩეთო.

მხოლოდ ამ მოგონებაზე ჩაიდო პირში ხელში გაშეშებული ლუკმა პურისა. ასეთი გატაცებული და ყინიანი მობაასე იყო პეტრე უმიკაშვილი.

როგორც სხვა, მეს მოცეწლების ზოგიერთი მწერლები, ისე პეტრეც დავიწყებულია ქართულ წიგნების გამომცემელთაგან. მრავლად გაბნეულია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში პეტრეს პუბლიცისტური, ისტორიულ-არქეოლოგიური, კრიტიკული წერილები, სცენები, სხვა და სხვა ამბები, წერილები ქართული თეატრის შესახებ. ჩვენი გამომცემლები ძალიან ერიდებიან ძველი მწერლების გამოცემას და ეტანებიან ახლებს.

---

*) ჯუმათელი მითვისებული ჰქონდა ჯუმათის ეპისკოპოზს; როდესაც იტყოდენ: ჯუმათელი მობრძანდა—ჯუმათელი ეპისკოპოზი მობრძანდაო. დარჩია გამოჩენილი ფირალი იყო, გურული, შესანიშნავი სწრაფი, გამბედავი და გაუტეხელი, ტანით პატარა იყო, მაგრამ მამაცობას არ უშლიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველებისაგან ახლები წარმოიშვნენ. არ იქნება ურიგო გამომცემლებმა მამების ნაწერები გამოსცენ და შვილებს გააცნონ, რანი იყვნენ მისნი მამანი, რას ელტოდნენ და რა გააკეთეს შემდეგი თაობისათვის. ქართულ წიგნებს მკითხველი ჰყამს, სამიში არ არის მესამოცე წლების მოღვაწეთა გამოცემისა, ხარჯს აუნაზღაურებს. ამ მხრივ ბედნიერნი არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი და ანტონ ფურცელაძე. პირველი ორისა თითქმის ყველა თხზულებანი წიგნაკებად არის გამოცემული, ხოლო მესამეს—ანტონს ხომ სპეციალური გამომცემელი ჰყამს—ზაქარია ჭიჭინაძე ელიან გამოცემას ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და პ. უმიკაშვილი.

სამწუხაროა ასეთი გულგრილობა ჩვენ დაუღალავ და უანგარო მოღვაწეთადმი.

ა. [illegible]

უკანასკნელი სალამი!..

ღამეა. ღამის მნათობს ვერცხლის წყლით დაუფარავს უსულო გვამებით მოფენილი ბრძოლის ველი; მისი მკრთალი სხივები თანაგრძნობით დაჰკონებია მიცვალებულთა გაყინულ სახეებს, თითქოს უნდა გადასცეს სამშობლოდან გამოგზავნილი უკანასკნელი სალამი.

ერთად-ერთი ჭირისუფალი მთიდან მონაბერი შემოდგომის ცივი ნიავი გულის საკლავად დაჰქვითინებს ოხერს მკვდრებს. მის ქვითინს უერთდება გულმოსაკლავი გმინვა ახალგაზდა ჯარის კაცისა, რომელიც ღონემიხდილი, მთლად გაფითრებული მიჰსვენებია დაბალს ბუჩქს და მარტოდ მარტო, სამშობლოდან შორს გატყორცნილი ებრძვის ულმობელს სიკვდილს.

განიერ მკერდიდან შადრევანსავით გადმოსჩქეფს ალის ფერი სისხლი. შორს ცის სივრცეში ერთს წერტილს მისჩერებია მისი მიმქრალი თვალები; სასიკვდილოდ გალურჯებული ტუჩები კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ იმეორებენ უკანასკნელ სიტყვებს:

„ჩემო ტურფავ... ჩემო .. მშვენიერო სამშობლოვ... როგორი .. საყვარელი ხარ შენ ახლა ჩემთვის... ოხ, როგორ მსურს, რომ... უკანასკნელი ძაფი ჩემის სიცოცხლისა... შენს მშობლიურს გულ-მკერდზე გაწვეტილიყო!.. ვკვდები შენგნით შორს... შორს უცხო მიწა-წყალზე... მტრის ტყვიით განგმირული... სიკვდილთან... მებრძოლი... შორით გიძღვნი ჩემს უკანასკნელს სალამს...

„ოხ! რომ შემეძლოს... რომ შემეძლოს... თუნდ ერთი წუთით. . თვალი მოვავლო ჩემს ტურფა სამშობლოს... ვნახო ის, ვნახო ჩემი... ძვირფასი მშობელი...

„მთვარევ!.. კეთილო მთვარევ!.. შენ ხომ ყველგან ხარ. . შენ ხომ ყველას ხედავ... მითხარ. . იქნებ ამ წუთში შენ ჰხედავ „იმას ? შენ ხომ იცნობ!.. ხომ ბევრჯელ ჰყოფილხარ მოწამე ჩვენი ნეტარი წუთებისა... აი... ახლა უკანასკნელად მოგჩერებიან ჩემი მიმქრალი თვალები .. შემიბრალე მომაკვდავი... მითხარ... ხომ ვახსომვარ?.. ხომ წუხს ჩემს დაშორებას?“..

მთვარემ საშინელი სიბრალული იგრძნო მომაკვდავისადმი, უნდოდა რაიმე სანუგეშო ეთქვა, მაგრამ მოაგონდა წუთის წინ ნანახი სურათი და სანუგეშო სიტყვები ტუჩებზე შეეყინა.

—„ეხ, ვინ ენდოს ქალის სიყვარულს? ვხედავ, მე მას ახლაც ვხედავ, მაგრამ ის ამ სანეტარო წუთებს ახლა სხვასთან განიცდის“,— გაიფიქრა მთვარემ და სიბრალულით მიაშტერდა მომაკვდავის გაფითრებულს, მაგრამ მიმზიდველ სახეს.

„მთვარევ!..—განაგრძობდა მომაკვდავი: იქნებ ამ წუთში ხედავ ჩემს სახლ-კარს?.. მწვანე ფოთლებით... შემოსილს აივანს... სადაც მე ისე მიყვარდა ჯდომა?... ხომ არ ხედავ... ჩემს საყვარელს მშობელს? მითხარ... ხომ არ გრძნობს ის, რომ აი ამ წუთში... თვალგადუწვდენელ, უსულო გვამებით მოფენილ, ტრიალ მინდორზე... სხვა ოხერ მკვდართა შორის ითელება... სიცოცხლის უკანასკნელი წუთებიც მისი. . ერთად ერთი შვილისა?

—„როგორ არა, როგორ არა, ჭაბუკო! მე შენს სახლ-კარს, დედაშენს ყოველ საღამოს ვხედავ. ის მუდამ მუხლმოდრეკილი ხატის წინ დგას. ცრემლმა დაღარა მისი მო-

ზ. დ. ბაქრაძე

ცნობილ ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის შვილი. ვაჟკაცური ქცევის გამო ქ. ლვოვის აღების დროს. მთავარ-სარდლის მიერ პოლკოვნიკის ჩინითა და ოქროს იარაღით იქმნა დაჯილდოებული.

ხუცი სახე, მას პირზე მარტო შენი სახელი აკერია. ყოველი წუთი მისი სიცოცხლისა მთლად შენზე ფიქრით არის მოცული.

—„ოხ, რა კეთილი ხარ მთვარევ!.. მითხარ „ის“ ის არ გინახავს ამ ცოტა ხანში?

—არა, არ მინახავს. რაც შენ დაგშორდა, მე მას ველარსად ვხედავ,“—იცრუვა მთვარემ. წუთს პირი აარიდა საზარელ სურათს და ცაზე გაწოლილ შავ ღრუბელს შეაფარა თავი.

ჩამობნელდა. გლოვის ეჟფერი გადაეკრა არე-მარეს. მახლობელ ტყეებიდან მოისმა მშიერ ნადირთა ღმუილი. აღსდგა ნადირთა სამეფო და გამოვიდა ბრძოლის ველზე ნადავლის საშოვნელად.

მომაკვდავი კვლავ სიკვდილს ებრძოდა. ოდნავ და იძროდნენ მისი გაყინული ტუჩები:

—ეხ, ვკვდე...ბი...მშვიდობით...ნორჩო... სიცოც...ხლევ... ვინ არის... ვინ... ვინ გადასცემს სამშობლოს ჩემს... უკანასკნელ... სალამს?.. ვინ ეტყვის... ჩემებს, რომ... მე ისინი... უკანასკნელ სიცოცხლის.. წუთამდი... მახსომდნენ!

—მე, ჭაბუკო, მე!—მიუსისინა ნიავმა, მოუალერსა, გადუვარცხნა აწეწილი ქოჩორი, აი: ამ წუთას მე შენს სამშობლოში გავჩნდები. მიუტან სამშობლოს, დედას, მოძმეს, სატრფოს შენს უკანასკნელს სალამს.

—„რა კე..თი...ლი... ხარ... ნი...ა ..ვო რა კე.. თი...ლ..ი...“ სიტყვები ტუჩებზე შეეყინა, გაისმა უკანასკნელი გმინვა და შესწყდა ნორჩი გულის უკანასკნელი ძგერა. ნიავი მოწიწებით ეამბორა გაყინულს გვამს და ელვის სისწრაფით მოჰკურცხლა ჭაბუკის სამშობლოსაკენ. გასრიალდა მკვდრებით მოფენილ ბრძოლის ველზე, გადიარა მთა-ბარი და წუთს გაჩნდა მის სამშობლოში. ელვის სისწრაფით მოირბინა მისი სამშობლოს ზურმუხტი ველები ესტუმრა ცამდის ატყორცნილს ბუმბერაზ მთებს, დარაჯთ მისი საყვარელი სამშობლოისა, ყველას მიურბენია, ყველას გადასცა მომაკვდავის უკანასკნელი სალამი ესტუმრა მის სახლსაც, შესისინდა ოთახშიაც, მოლლილს, მოქანცულს მის დედას მხოლოდ ახლა ჩასძინებოდა, და ცრემლით დაღარულს სახეზე რაღაც ბედნიერი ღიმილი უთამაშებდა: ესიზმრა, ვითომც მისი ერთად ერთი შვილი ომიდან უკვე დაბრუნებულიყო და დედა მის გვერდით ბედნიერის წუთებით სტკბებოდა.

სევდია



გიორგი პავლეს-ძე არჯევანიძე

(ხელში დაჭრილი პრუსიის ს. ზღვარზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა საყოველთაო დახმარება



დამწვარი ქართული თეატრის საზამთრო დარბაზი
(გადაღებული საზაფხულო თეატრიდან).

ცეცხლმა მოსპო თბილისში ქართველ ხალხის თავ-შესაფარი, მოსპო და გაანადგურა ხელოვნების წმიდა ტაძარი, სკოლა ცხოვრებისა; მაგრამ გლოვა არა გვმართებს დღეს ჩვენს დანაკლისს, ცრემლის ღვრით და მარტო გაზეთებში წერით—აი, დავიღუპეთ, დავიქეცითო, ვერ შევავსებთ. ახლა საქმეა საჭირო და არა გოდება. რაც მოხდა—მოხდა. სხვა უბედურებასთან, ესეც ეწვია ისედაც მრავალ ჭირნახულ ჩვენს ხალხს, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს თეატრი დახელოვნება ყველასათვის საჭიროა განურჩევლად კლასობრივი განსხვავებისა. აქედან ცხადია, რომ ყველა ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ქართულ თეატრის აღდგენას და არსებულზე უკეთესი ავაშენოთ.

ამას მოითხოვს უმთავრესად დემოკრატიის ინტერესები. ქართველმა დემოკრატიამ სხვა კლასებთან ერთად, ბეჯითად უნდა იზ-



თავ. დავით ზაქ. ჭავჭავაძე
ბრძოლაში სახელ მოხვეჭილი

კ ი თ ხ ვ ე ბ ი

რა ვარ, ვინ ვარ მე, ბუნებავ? საით მივალ, სად მოველი?
რას მიმზადებს, რას სიკვდილი? ან სიცოცხლით რას მოველი?
თუმცა სულით უკვდავება მე მიგვრძნია არ ასჯერა,
მაგრამ, მაინც ცივ გონებას ეს არა სწამს, არა სჯერა.
და ჰა ეხლაც მესმის ხოლმე დამცინავი მისი ხმები:
„შენ მტვერი ხარ, ვით ფოთოლი შემოდგომის ისე ჰხმები."
ბუნებაო! ვინ ვარ? რა ვარ? საით მივალ, სად მოველი?
რას მიმზადებს მე სიცოცხლე, ან სიკვდილით რას მოველი?

მთის ნიავი

რუნებს თავის შეძლებისა და მიხედვით, დახმარება გაუწიოს ქართული თეატრის აშენებას შეერთებულის ძალით უნდა აღსდგეს იგი, რაც 25 ენკენისთვეს დაუნდობელმა ცეცხლმა დაგვინთქა.

თეატრის აშენებასა და მის ყოველმხრივ შემკობას, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, 500,000 მან. მაინც დასჭირდება. როგორც ჰხედავთ, კარგა დიდი თანხაა ჩვენისთანა ბედში მყოფ ხალხისათვის, მაგრამ ამან გული არ უნდა გაგვიტეხოს და საერთო ძალღონით ვეცადოთ მის შეკრებას რომ მომავალ ქართულ ეროვნულ თეატრის აშენებაში ყველას — მთელ ქართველ ხალხს გვედოს წილი. თქმა არ უნდა, თეატრის ასაშენებლად შემდგარი კომიტეტი ბეჯითად შეუდგება ფულის შეგროვებას: მისი მოქმედება მარტო თბილისით არ შემოიფარგლება და მთელი საქართველოს დაბა-სოფლებშიაც გადიტანს მოქმედების ასპარეზს. ამიტომ საჭიროა პროვინციის საზოგადო—საკულტურო დაწესებულებათა და სხ. მოღვაწეებმა შესაფერი კომ-სიები ამოირჩიონ, გამოიჩინონ ფხა და მთავარ კომიტეტის ჩვენებით მხნედ იმოქმედონ ფულის შესაკრებად, როგორც ქართველ საზოგადოებაში, აგრეთვე სხვა ერებშიაც, ვისაც ოდნავ მაინც აინტერესებს კულტურულ დაწესებულების აღდგენა. საქმეს ჩქარა უნდა შეუდგეთ, სანამ ხალხს ახსოვს და თვალწინ უდგას ცეცხლის ალში გახვეული და ჩანთქმული თვისი საყვარელი წმიდა ტაძარი. **ნ. ჯიხაიშელი**

ბ-ნი სიტყვა სწერს („სახ. ფურ. №101“, რა დიადი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენთვის ქართულ თეატრს, რომ ქართველები უთეატროდ ვერ ვიარსებებთ, როგორც ერი, რომ დღეს ეს თეატრი აღარ არის, მაგრამ უნდა იქმნეს, აღდგეს უფრო გამშვენიერებული, კოხტა და ლამაზი.

ამიტომ—„მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, ისე უნდა შეერთდეს ამ საერთო საქმისათვის. აქ არ უნდა იყოს არავითარი მიმართულება, წოდება და კლასი. თბილისში ქართული ეროვნული თეატრის აშენება — ეს ქართველი ხალხის კულტურის მომავალია, ესაა ქართველი ერის კულტურული გამაგრება და გაძლიერება, და ვისაც შეგნებული აქვს ამ კულტურის მნიშვნელობა, ყველა ერთის სულითა და გულით უნდა შეიკრიბოს იმ დროშის გარშემო, რომელსაც აწერია: „ქართველი ერის თეატრი“!

დროს ნუ დავკარგავთ, ვისარგებლოთ ყოველი წუთი და ნუ ვიტყვით, მოცლა არა გვაქვს ან ისედაც შევიწროვებული ვართო. ეს არ ითქმის, როცა საქმე ქართველი ერის ბედსა და მომავალს შეეხება. ჩვენ გვინდა სიცოცხლე, გვინდა კულტურა, გვინდა ქართული თეატრი!..“

ჩვენი დამსახურებული მოღვაწე-მწიგნობარი ქალი, ქ-ნი **ანასტასია წერეთლისა** სწერს: **„მივეშველოთ ქართულ თეატრს“!**
არა თუ საქართველოში, შორეულ ქვეყნებშიაც მცხოვრებმა ქართველობამ შეიტყო ჩვენი უეცარი თავზარდამცემი უბედურება: ცეცხლმა იმსხვერპლა ქართული თეატრი თავისი სარჩო-საბადებლით.

უნდა გვქონდეს ქართული თეატრი! უნდა შევინარჩუნოთ არტისტები. ისიც კარგად ვიცით ყველამ, რომ დიდი საქმის გაკეთება ერთი ორი დღის საქმე არ არის. ამიტომ ჩვენ უნდა ეხლავე დავადგეთ მოქმედების გზას, სანამ სამი საქმე გვიდევს წინ: 1) დრამატიული ბიბლიოთეკის აღდგენა, 2) დეკორაციების მოწყობა და 3) თეატრის ტანისამოსის მომზადება. ამ სამ საქმეს სწრაფად უნდა შეუდგეთ, რომ ამითი საძირკველი ჩავუყაროთ ქართულ მომავალ თეატრს. უნდა დაუყოვნებლივ დაარსდეს სამი კომისია. საქმის შესაფერად უსათუოდ ყველანი გვიშველიან, ვისაც რა შეუძლიან; ბიბლიოთეკის მოწესრიგებაში, მხატვრობის მხრივ და სათეატრო ტანისამოსის მომზადებაში. ჩვენს ქალებს შეუძლიანთ ახლავე შეუდგნენ ამ უკანასკნელ საქმეს. უმეტეს ნაწილს მათგანს მოეპოვება სახლში, ან ნაცნობებში თეატრისათვის გამოსადეგი მასალა ამ მხრივ მგონი ჩვენი ქალები არც ჯაფას დაზოგავენ და არც მცირე შემოწირულების შეგროვებას.“

არ. ჯ—შვილი — „არ გვინდა შევურიგდეთ, ვერ შევურიგდებით იმ აზრს, რომ თეატრი აღარ გვექნება. გულ-გრილად ვერ ვუცქერით ამ ნანგრევებს. რათაც უნდა დაგვიჯდეს, კვალვ უნდა აღსდგეს თეატრი; და, საერთო უბედურებამ, საერთო მწუხარებამ კვლავ გაგვიღვიძოს საერთო სურვილი თეატრის აღდგენისა! სულ თითო კაპეიკობით შევაგროვოთ ფული,

მოგუწოდოთ ყველას, ვისაც კი ქართველთა უბედურება თავის უბედურებად მიაჩნია, და ადგადგინოთ თეატრი.

რა უნდა იყოს თვითეული ჩვენთაგანის მიერ გაწეული მსხვერპლი? სრულიად არაფერი, შედარებით იმ ხუგეშთან, რომელიც დაგვებადება, თუ ენერგიულად მოვკიდეთ საქმეს ხელი და აღვადგინეთ ცეცხლის მიერ შთანთქმული კერა ჩვენი თეატისა.

მაშ, შეგუდგეთ საქმეს!«

მსახიობი ვ. მატარაძე—ვერც კი შევრიგებივარ იმ აზრს, რომ ჩვენი ეროვნული სიამაყე აღარა გვაქვს და ცეცხლმა იმსხვერპლა. მაგრამ სინამდვილე ცხადჰყოფს, რომ მრავალ წელთა მონაგარი დაგვეღუპა. საჭიროა ისევე აღვადგინოთ, არც ერთი ქველმოქმედი არ დაიშურებს თვის წვლილსო. „ამიტომ საჭიროა,—განაგრძობს: ყოველმა ჩვენგანმა, ვისაც კი გული შესტკივა ქართულ სცენისათვის, შესწიროს პიესები და როლები, ხელთ ნაწერი იქნება იგი თუ დაბეჭდილი, დრამატიულ საზოგადოების წიგნთსაცავს. მსახიობებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ დღეიდანვე თეატრის აღდგენაში, ვინაიდან საკუთარ გულის ტკივილს თვით უფრო იგრძნობს ადამიანი, ვიდრე სხვ.“

თათბირი

საგანმანათლებლო, საზოგადო, საფინანსო და პრესის წარმომადგენელთა.

თბ. გუბ. თავ.-აზნაურთა წინამძღოლის თაოსნობით გასულ კვირას, 5 ღვინობისთვეს, დეპუტატთა საკრებულოში მოწვეულ იქმნა ზემოხსენებულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება ქართულ თეატრის აღდგენის შესახებ სათათბიროდ. კრებას დაესწრო 28 სხვა და სხვა დაწესებულებისა და პრესის წარმომადგენელი. დაესწრენ აგრეთვე მცხოვანი მგოსანი აკაკი, რომლის შემოსვალსაც ყველანი ფეხზე ადგომით შეეგებნენ, და ერის წარმომადგენელი—სათათბიროს წევრი აკაკი ჩხენკელი. დავმჯდომარეობდა თავ. კ.ნ. აფხაზი, თავმჯდომარემ კრებას აუწყა ის მოულოდნელი ზარალი, რომელიც ქართველ საზოგადოებას თავს დაატყდა თეატრის დაწვით და მოუწოდა—საჭიროა არჩეულ იქმნეს ყველა მხრივ სანდო კომიტეტი, რომელმაც უნდა ითაოს ფულის შეგროვება თეატრის ასაშენებლადო. ამ საგნის შესახებ წინასწარი თათბირი ჰქონდათ 28 ენკენისთვეს არჩეულ პირთ, რომელთა დადგენილება ბ-მა გ. ბ. გვაზავამ დამსწრეთ გააცნო. წინასწარ კომისიის აზრით, საჭიროა საგანგებო კომიტეტი შესდგეს ქართულ დრამატიულ საზოგადოებასთან. ამ კომიტეტმა უნდა იზრუნოს ფულის შესაგროვებლად თეატრის აშენებისათვისო.

დაიწყო კამათი. ზოგიერთი მოლაპარაკე თხოულობდა სრულიად დამოუკიდებელ საზოგადოების შედგენას. აკაკი ჩხენკელმა ისიც კი მოითხოვა—დაარსებულ იქმნეს ქართული ეროვნული თეატრის აღმაშენებელი საზოგადოებაო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: შ. ალექსი-მესხიშვილმა, თ. გ. ამირაჯიბმა, თ. ი. ბარათაშვილმა, რ. გაბაშვილმა, მ. გედევანიშვილმა, გ. გვაზავამ, პ. გოთუამ, გ. დიასამიძემ, ი. ევდოშვილმა, ექ. თაყაიშვილმა, ივ. ზურაბიშვილმა, იოსებ იმედაშვილმა, შალვა მიქელაძემ, თ. ნასიძემ, გ. ჟორდანიამ, გიორგი ჟურულმა, ვას. ყიფიანმა, აკ. ჩხენკელმა, შალვა შარაშიძემ, ან. ღულაძემ, ა. ჭიჭინაძემა და სხ. კამათის დასასრულ კრებამ ერთხმად დაადგინა: „ქართული კულტურულ საგანმანათებლო დაწესებულებათა წარმომადგენლების საზოგადო კრება საჭიროდა სცნობს დაარსდეს საგანგებო კომიტეტი ქართული ეროვნული თეატრის აღსადგენად. კომიტეტში შევა ქართულ კულტურულ დაწესებულებათა 25 წევრი, რომლებიც იმავე დროს ქართულ დრამატ. საზოგადოების წევრებად ირიცხებიან. ეს კომიტეტი, დრ.მ. საზ. წესდების მე 18 მუხლის ძალით თეატრის აღდგენის საქმეში სრულიად დამოუკიდებლად იმუშავებს, იგი დაემორჩილება დრამ. საზოგადოების წრეთა და სხვა ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრებას.

ამ კომიტეტისათვის სასურველ წევრების ასარჩევად შედგენილი იქნა საგანგებო კომისია და კრების გაგრძელება 7 ღვინობისთვისათვის გადიდო. მეორე კრებაზე თავმჯდომარემ გამოაცხადა წინადღით შედგენილი სია. სიაში შეტანილია თითქმის ყველა კულტურულ, სიფინანსო და პრესის დაწებულებათა წარმომადგენლები. კომიტეტში შედიან აგრეთვე დრამ. საზ. გამგეობის

წევრნი და ქართველი ერის წარმომადგენელნი სხ. სათათბიროში; არიან ვაჭრებიდანაცკი, აკლია მდაბიო ხალხის—მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები. წევრთა რიცხვი—39. კომიტეტში შევლენ პროვინციის ქუთაისის, ბაქოს, ბათუმის, ჭიათურის და სხ. ქალაქკუთხეების წარმომადგენელნი, ადგილობრივ არჩეულნი.

კომიტეტის წევრებად დაასახელეს: განდეგილი (ერისთავი), კნ. მ. ვ. ორბელიანისა, ა. მ. წერეთლისა, კნ. ე. მ. წულუკიძისა; თ-დი ნ. რ. ერისთავი, თ-დი ნ. დ. ერისთავი, თ-დი პ. ი. თუმანიშვილი, ვ. რ. ყიფიანი, გ. მ. ლასხიშვილი, გენ. გ. ნ. ყაზბეგი, ნ. ნ. ჟორდანია, ს. გ ფირცხალავა. დ. ვ. ვაჩნაძე, გ. ნ. დიასამიძე, გ. დ. ჟურულ[illegible] ფორაქიშვილი, ა. მ. ძეგველოვი, გ. [illegible]ვა, ნ. ი. ქარცივაძე, ვ. დ, ლამბაშიძე, ი. გ. გომართელი, ვ. ლ გუნია, ნ გოცირიძე, ა. წუწუნავა, ე. ს. თაყაიშვილი, ა ვ ქიქინაძე, თ დი დ. ე. ჩოლოყაშვილი, ზ პ. ფალიაშვილი; თავმჯდომარედ—წინამძღოლი, კ. ნ. აფხაზა, საპატიო თავმჯდომარეებად: მხცოვანი მგოსანი აკაკი და თ. ა. სუმბათაშვილი (იუჟინი). კომიტეტში ჩარიცხულნი: სახელმწიფო საბჭოს წევრი თ. ა. დ. ერისთავი, დეპუტატები: ვ. გელოვანი, კარ. ჩხეიძე და აკ. ჩხენკელი.

კრება მეტად ერთსულოვანად ბჭობდა. ყველას ემჩნეოდა რა ძვირფასად მიაჩნდა სამშობლო თეატრის აღდგენის საქმე.



რეიმსის საუცხოვო ტაძარი
(დანგრეული გერმანელებისაგან)

საუბარი ბეჭდვითი საქმის ხელოვნებაზე

II

1879 წ. „ბეჭდვითი ხელოვნებათა მიმოხილვის" რედაქციას აზრად მოუვიდა, გაემართა ასოთამწყობთა შეჯიბრება რუსეთში. ამის მოწყობას 1880 წ. უკვე შეუდგა, მაგრამ რადგან ორის მეტი ასოთამწყობი არ გამოჩნდა შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველი, ამიტომ გადაიდო.

შემდეგ აღარავის უფიქრია ამაზე. 1895 წ. 28 მაისს პეტროგრადში გაიმართა სრულიად რუსეთის ბეჭდვითი საქმის გამოფენა და ამ გამოფენის შენობაში, სხვათა შორის, მოაწყეს ასოთ-ამწყობთა შეჯიბრებაც. შეჯიბრება ორ გვარი იყო: 1) სწრაფად და წესიერად აწყობა (დრამატიკისა და ხელოვნების მხრივ), 2) წვრილმანი საქმეებისა (ბლანკებისა, ფორმებისა, ცხრილებისა და სხ.)

პირველ შეჯიბრებაზე სამი ჯილდო იყო დანიშნული—25, 15 და 10 მანეთი, მეორეზე—ორი ჯილდო: 25 და 15 მან. პირველ ჯგუფში 19 ასოთამწყობი ჩაეწერა, ხოლო სამუშაოდ 12 გამოცხადდა. შეჯიბრებაში პირველი ჯილდო მიიღო ასოთამწყობმა ვასილიევმა, მეორე—გენერალოვმა, მესამე—დანილოვმა.

წვრილი საქმეების შეჯიბრებაში ჩაეწერა 9 კაცი, ამათგან 7 კაცმა მიიღო მონაწილეობა. უნდა გაეკეთებინათ „ბეჭდვითი სკოლის ანგარი-

მის“ ზედაკანი. ამის აწყობაში პირველი ჯილდო მიიღო ანისიმოვმა, მეორე—მიშაკოვმა.

სრულიად რუსეთის პირველ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთ სურვილი გამოსთქვეს, რომ ყოველ წელიწადს იმართებოდეს ასეთი შეჯიბრება. 1896 წლის 6 მაისს პეტროგრადის ბეჭდვითი სკოლაში კვლავ გაიმართა სრულიად რუსეთის ასოთამწყობთა მეორე შეჯიბრება. პირველი შეჯიბრების მსგავსად კიდევ ორ ნაწილად გაიყო: 1) სისწრაფით აწყობა, 2) წვრილი საქმეები. ორივეს ჯილდო ერთნაირი იყო. ჯილდო სამი იყო. პირველი 35 მ., მეორე—25, მესამე—15 მ. პირველი ჯილდო მიიღო ასოთამწყობმა კონსტანტინოვმა, მეორე ვასილიევმა, მესამე—გალაქტიონოვმა.

ამას გარდა ხელოვნების მხრივ ლამაზად აწყობაში და გრამატიკულ შეცდომების სიმცირეში დიპლომი მიიღეს შემდეგმა ასოთამწყობებმა: კაფკამ, ვინოგრადოვმა, ნიკოლაევმა და ბარანტინმა..

წვრილი საქმეების შეჯიბრებაში, რომელშიაც 7 კაცი იღებდა მონაწილეობას, ყველაზე უკეთეს მომუშავედ ცნობილი იქმნა ანისიმოვი*) და პირველი ჯილდოც მიიღო, უსოვმა—მეორე ჯილდო, პიშკოვმა—მესამე.

მესამე შეჯიბრება ზემოხსენებულსავე სკოლაში მოხდა 1897 წ 8 სექტემბერს, იმავე პირობითა და წესრიგით, როგორც წინა წლებში. მონაწილეობას ღებულობდა 20 კაცი ჯილდო მიიღეს შემდეგმა ასოთამწყობებმა: ბრანტანე—პირველი, გალაქტიონოვმა—მეორე, ფეოდოროვმა—მესამე და ოთხმაც ქების ფურცელი. ხოლო წვრილ საქმეებში პირველი ჯილდო ანისიმოვმა, მეორე—პეტროვმა, მესამე—დრანიშნიკოვმა; ლუკაშევმა და მიშაკოვმა ქების ფურცლები მიიღეს.

შემდეგ გავლო რამდენიმე წელმა, რომ აღარ მომხდარა შეჯიბრება. ხოლო 1901 წ. 14 მარტს ზემოხსენებულსავე სკოლის შენობაში, მოხდა მეოთხე სრულიად რუსეთის ბეჭდვითი ხელოვნების შეჯიბრება.

1902 წ. 2 მაისს მოსკოვში ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოების მოსკოვის განყოფილებამ გამართა პირველი ასოთამწყობთა შეჯიბრება. პეტროგრადში გამართულის მიხედვით, ორ ნაწილად გაიყო. პირობები და წეს-რიგიც იმგვარივე იყო. მონაწილეობას ღებულობდა 14 პირი, დრო განსაზღვრილი იყო $1^1/_2$ საათი. შედეგი ამ გვარი იყო:

ჯილდოდ მიმღებთა გვარები.	აწყობილი ასოები	შეცდომები	ნიშნები: ხელოვნებაში	ნიშნები: სისწრაფეში	ნიშნები: ლამაზობაში	ჯილდო
კაზიუტინმა . .	3,744	19	1	4	2	I
ვლადიმიროვმა .	3,973	33	3	5	1	II
კუზმინმა . . .	3,805	31	5	4	3	III
მატიუშინმა . . .	3,661	27	5	3	1	IV

წვრილ საქმეებში პირველი ჯილდო მიიღო ტკაჩევმა (კუშნერევის სტამბიდან), მეორე მალენკინმა (სიტინის სტამბიდან), მესამე—პაშკოვმა (ბასნერის სტამბიდან).

ამ გვარი შეჯიბრებანი რომ ჩვენშიაც ხდებოდეს, დიდად სასარგებლო იქნებოდა ასოთამწყობებისათვის, რადგან ნათლად გამოჩნდებოდა, ვინ როგორი დახელოვნებული იქნებოდა ამ დარგში. აგრეთვე შეჯიბრების წყალობით ყველა ეცდებოდა, პირველი ჯილდო მიეღო და პირველი ადგი ეიც დაეჭირა. ამით, რაღა თქმა უნდა, დიდად ხელი შეეწყობოდა ბეჭდვითი საქმის განვითარებას.

ივ. მჭედლიშვილი

ქართული სახიობა

„მსხვერპლი“—„არტისტ. თეატრში“ წარმოდგენილი იქმნა 2 ღვინობისთვეს, ალ. წუწუნავას რეჟისორობით. პიესა მხატვრულად იყო დადგმული,—კიდევ ერთხელ დამტკიცდა ბ-ნ წუწუნავას სა მხატვრო გემოვნების სიძლიერე, მაგრამ წარმოდგენას აკლდა ის მთლიანობა, რითაც აღინიშნა ამ პიესის დადგმა ქართულ თეატრში. საკუთარი კერის მოშლა უკვე დაეტყო. ახალგაზდა მსახიობნი ერთი-მეორეს სჯობდენ როლის შეგნებით, ცოდნითა და აღსრულებით.

„სიმახინჯე“, ნ. შიუკაშვილისა, წარმოდგენილ იქმნა 3 ღვინობისთვეს „არტისტ. საზ. თეატრში.“ წარმოდგენას ხელმძღვანელის გამოცდილი ხელი ეჩნეოდა,—სჩანს ბ. მ. ქორელს სარეჟისორო

*) ეს ის ანისიმოვია, რომელმაც გერმანულიდან სთარგმნა და გამოსცა რუსულად **„ასოთ-ამწყობთა სახელმძღვანელო“**. რაშიაც ჩართულია მრავალი სურათი და სანიმუშო ცხრილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულარი და გემოვნებაც შესწევს, თითოეულად ნაკისრი როლები ხელოვნურად განასხიერეს ეკ. მესხმა, ნ. ჩხეიძემ, ი. ზარდალიშვილმა და ალ. იმედაშვილმა.

ორივე ამ წარმოდგენის მიზანი იყო მოულოდნელად დაზარალებულ დრამ. საზოგად. გამგეობის სალაროს აღდგენა, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ, რომელსაც პრტყელ-პრტყელი სიტყვების ხმარება და ნიანგის ცრემლთა ფრქვევა უფრო შესძლებია, ვერ გამოიჩინა საჭირო თვითშეგნება მოვალეობისადმი. ხალხი ნაკლებად დაესწრო, განსაკუთრებით პირველ წარმოდგენას. **ჭ-ნი**

სახალხო სახლი. „ცხოვრების გარეშე“, 1 ოქტომბერს კ. შათირიშვილის რეჟისორობით.

ფაბულა პიესისა ნაცნობია და ახლობელი. ის ცოცხალი სურათია ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული და სწორედ სახალხო სცენისათვის შეძენილი:

თქვენ ხედავთ არისტოკრატიულ ოჯახს ორი შვილით: ელენეთი და იურით. ოჯახი მდიდრულად ცხოვრობს და სავსეა მოსამსახურე გოგო-ბიჭებით, რომელთა ცხოვრება აუტანელია ყოვლის მხრივ, როგორც ყველა ხელზე მოსამსახურეთა ცხოვრება ყველა იმგვარ ოჯახებში: **ცხოვრების გარეშე.** მათთვის არც ძილი თავის დროზე, არც მოსვენება, არც ადამიანური მოპყრობა. „ისე გვეპყრობიან, როგორც ქვაბებს სამზარეულოში; ქვაბები და ჩვენ თანაბარი **საგნები** ვართ“. არის იქ ახალგაზდა მსახური ქალი პოლია, ლამაზი, რომელსაც ახალგაზდა ბატონი, ქარაფშუტული ცხოვრებიდან მოცლილ წუთებში სიყვარულს ეფიცება და გაუპატიურებულს პოლიას ქუჩაში ისვრის, ქუჩისქალად ხდის, ცხოვრების გარეშე სტოვებს. არის იქ მეორე მსახური ქალი, მეეტლის ცოლი დუნიაშა, რომელსაც არ აძლევენ ნებას ხანდისხან ქმარი ინახულოს, და გახრწნილ ქალბატონების ნაყურებს „შეყვარების“ ჟინი წაჰკიდებია, რომელსაც იქვე მოსამსახურე გახრწნილ, ლაზღანდარა ლაქია იაკობასთან იკლავს. ქმარი ნიკიფორე შემოესწრება მათ საალერსო სცენას. მაგრამ არაფერს ამბობს, რადგან „რა დუნიაშას ბრალია ღალატი, ის აიუძულეს ბატონებმა, გახრწნეს მისი ხასიათი, პატიოსანი მიმართულება და დაეშორეს ქმარს ისე, რომ ერთმანეთს არც კი ანახვებდენ“. და დუნიაშაც შებრალებას და მოტევებას სთხოვს კეთილს და მოშხამულ ქმარს, და სოფელში მიჰყვება. არის იქ მზარეული ოსიპი, რომელიც 25 წელიწადია ემსახურება მათ, შრომისაგან ჯანი გამოსცლია, მუდამ ცეცხლის ცქერით თვალთ სინათლე აღარა აქვს. თვითონ მოხუცებულია და ამ დროს სრულიად უმიზეზოდ, კაპრიზით, მას სამსახურიდან ითხოვენ. არიან ბატონები, განცხრომაში ცხოვრობენ, გაუპატიურებული მსახური ქალების შერიგებას ფულით ლამობენ და საცოლოდ მილიონერ ქალებს ეტანებიან. აქაც ფლიდობენ, სიყვარელზე ეფიცებიან.

ერთი სიტყვით, პიესა სავსეა დრამატიული მომენტებით, ცოცხალია, მხატვრული, ის ნამდვილი სოციალური დრამაა, და ყოჩაღ წრის გამგეობა, რომ სახალხო სცენისათვის მას ჯერ-ხნობით შესაფერი რეპერტუარი შეუდგენია.

პიესა რუსულიდან თარგმნილი არის და ეტყობა, უცხო ფსიხოლოგიას ადვილად ვერ ურიგდებიან ჩვენი სცენის მოყვარენი. ამ მხრივ შესრულებაში მრავალი ნაკლი იყო.

პეტრე ტატარცევის როლში ბ. ხახანაშვილი მეტად მკრთალი იყო. ის სრულიად არ წააგავდა დიდი ოჯახის პატრონს, განათლებულს, ლაღ არისტოკრატს, და უფრო გაახნაურებულ ვაჭარს მოგაგონებდათ. საზოგადოთ საჭიროა მან ყურადღება მიაქციოს თავის თავს და ყველა როლი ერთგვარად არ ასრულოს ხოლმე.

არა უშავდა ელენეს (თ. ყიფშიძე), მხოლოდ აკლდა მიხვრა-მოხვრა, დარბაისლობა. მიხვრა-მოხვრაში ძალიან სუსტობდა საერთოდ რიგიანი ს. პეპანოვი (იური). საჭიროა შეიმჩნიოს, რომ იმას, რასაც რუსები ეტყვიან „развязность“ არავითარი კავშირი არ აქვს არისტოკრატიზმთან. რიგიანად თამაშობდა ქ. ე. ჩიქოვანი (ნატალია სტაროდუმცევისა), მაგრამ გამოთქმა მეტად გაურკვეველი ჰქონდა, თითქოს სურდო სჭირსო. კარგები იქნებოდენ დუნია და იაკობი (ქ. ელენელი და ბ. ბაქრაძე), მაგრამ ძლიერ ამლაშებდნენ შარჟით, რაც აქარწყლებდა მათ მდგომარეობას და განწყობილების დრამატიზმს.

მშვენიერნი იყვნენ: ქ. ტანელი (პოლია), რომლის სერიოზული განცდა და წრფელი წუხილი ხიბლავდა დამსწრეთ. ყლაპავდა მხოლოდ ზოგ სიტყვას, მაგრამ ამითაც იგებდა—სიწრფელეს აძლიერებდა. ბ. გოცირიძე (ოსიპი), რომელიც გამოცდილი მსახიობიც არის და ნაკისრ როლებში ყოველთვის პირნათელი, ის ნამდვილი არტისტია.

კარგი, როგორც ყოველთვის, მგრძნობიერი იყო ბ. მეტრეველი (სერგეევი). კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა აგრედვე ს. ტარუაშვილი (მეეტლე), მაგრამ ის მეტად არისტოკრატი იყო მეეტლესთვის. იქ სინაზის მაგიერ მეტი სიტლანქე იყო საჭირო.

საჭიროა რეჟისორმა ყურადღება მიაქციოს წვრილმანებს. მაგ. ჩაცმულობას, მდგომარეობას სცენაზე, მიხვრა-მოხვრას, მეტადრე ენას. სცენა ერთად-ერთი ადგილია, სადაც ქართული ენა შეუბოჭავია და იქ მაინც იყოს ის სასიამოვნო გასაგონი.

საჭიროა გამგეობამ ყურადღება მიაქციოს წესრიგს და ლაზღანდარები გააძევოს.

წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ხალხი საკმაოდ დაესწო. დამსწრენი, განსაკუთრებით ქანდარზე მსხდომნი, შიგა და შიგ არღვევდენ წესრიგს და წარმოდგენის შთაბეჭდილებას აფუჭებდენ. საჭიროა, თვით ხალხმავე გამოიჩინოს მეტი პატივისცემა საზოგადოებისადმი და უწესრიგობა მოსპოს, თუ ამის მოსპობა წრის გამგეობისათვის ძნელია. **მეგობარი**

„იორიოს ასული“, ტრაგედია 3 მოქ. დ, ანუნციოსი, თარგ. იოსებ იმედაშვილისა, წარმოდგენილ იქმნა „არტ. საზ. თეატრში“ ოთხშა-

ბათს, 8 დეკემბერსთვეს. პიესა დადგმის მხრით მეტად რთულია, მიუხედავად ამისა მაინც იგი მხატვრულად იქმნა წარმოდგენილი. მონაწილეთა შორის განსაკუთრებულის ხელოვნებით განასახიერეს ნაკისრი როლები ეფ. მესხმა (კანდიდ დელა დეფენსა), ნინო ჩხეიძემ (მიდა დიკოდრა), ალ. იმედაშვილმა (ალიკი), ალ. უალაბეგიშვილმა (დაძარო), კორიშელმა (კოსმა) სარაჯულმა (პირველი მომკელი), ვ. ალუდიშვილმა (მომკელი) და სხ. პიესის დადგმას სიჩქარე ეტყობოდა. წ-ი

ბაქოს დრ. დასი, კვირას, 5 ოქტომბერს, წარმოადგინეს „ჩერჩეტი"—ფულდისა, თარგმანი — გუნიასი. ეს პიესა პირველათ დაიდგა ბაქოში ... პიესა დაწერილია მხატვრულად და მაყურებლებზე შთაბეჭდილებას სტოვებს. ბაქოს დასმა კარგად წარმოადგინა ეს პიესა. მოთამაშეთა შორის დადიანისა (იუსტუს გაბერლინგი) და ელო ანდრონიკაშვილის გარდა (დარის ვინგარტ), აღსანიშნავია ქ-ნი წულუკიძისა (შერნერის ქვრივი), რომელმაც თითქმის უნაკლულოთ დაგვიხატა ცბიერი დედაკაცი და გადმოგვცა მისი სულის კვეთებანი. ეს სცენის მოყვარე ქალი მხოლოდ შარშან გამოვიდა ბაქოს სცენაზე და თვისი დაკვირვებულ თამაშით გამოცდილ მსახიობს ედარება. დარბაზი სავსე იყო ხალხით. ს.

ქართულ თეატრის ასაშენებლად შესწირეს:

პარესა და გიგო ქურდიანებმა—ათი თუმანი (100 მ)

ექ. გ. ნათიშვილმა—25 მ.

ვასილ კირვალიძემ (ბაქოდან) — 10 მან. ამასთანავე ხელისმოწერა გამართა ფულის შესაგროვებლად.

ანნა და ივანე ზედგინიძეებმა (სოფ. კამარდიდან) ამ თვეით—10 მან., ხოლო დღეიდან ერთი წლის განმავლობაში თვეში ათი მანათი, სულ ცამეტი თუმანი (130 მ).

გიორგი და მიხეილ საბახტარიშვილებმა (ფოთიდან)—ხუთმეტი თუმნის ხეტეის მასალა.

ჯარში გაწვეულმა ქართველ ჯარის კაცებმა ვ. თავბერიძემ, მ. რუსიძემ, კ. ჩხენკელმა, მ. რატიანმა, გ. ტორძემ და ა. კოხრეიძემ გადასწყვიტეს, სანამ სახლში დაბრუნდებიან, ეოველ თვიურად გადასდონ თავისი ჯამაგირის მეექვსედი ნაწილი. 3 მ. 97 კ. უმეტეს გამოგზავნეს,

წვრილწვრილად—**დ. ბეტრიაშვილმა**—3 მ. **ივ. ეს. მუჭედიშვილმა**—3 მ., **ნინო და დარეკო ნიკიტინებმა**—2 მ., **ალ. თევ. ბელინსკიმ**—1 მ., **გრ. გოლოვენსკიმ**—20 კ., **გრ. დიდენკომ**—20 კ.

„განათლების" საზ. სკოლის მასწავლებელთ დაადგინეს: ეოველთვიურად თითო მანათი გადიხადონ.

მზარეულები: **ნეს. მერ. სულაძე**—3 მ. **ლევ. არჩვაძე**—2 მ, **თ. სვანი**—1 მ., **სიმ. ხოხაძე**—1 მ., **დ. ენუქიძე**—1 მან.,

ვაჭარი **ალ. ბალინოვი**—1 მ.,

ვექ. სამ. გელოვანმა—25 მ.

მოსწავლენი—**შალვა და თამარა არჩვაძენი**—ათ-ათი შაური, სულ 10 მ. (აქედან 5 მ. წ. კ. ს. სასარგებლოდ).

ექიმ ილია იოსების-ძე ანდრონიკაშვილმა—ამ თვეით ერთი თუმანი, ხოლო დღეიდან „მანამ ასალს თეატრში ისევ ეფერიალდება ფარდა," **თვიურად თითო თუმანი**. ამასთანავე გრძნობიერი წერილი აქვს მოთავსებული „სახ. ფურ". № 103.

ინჟინერ ანატ. ნიკ. და დარია კონსტ. (მ. ვედრებისელი) კალიგინებმა 25 მ.

პავლე კალანდაძემ—3 მ.

გრ. მიქაშავიძის **მიერ**—**შეკრებილი** **სოფ. სოზანოში**—7 მ. 10 კ.

ქართველ მოწაფეთა **ერთმა** **ჯგუფმა** 33 მან.

ანიკო და სოსიკო მერკვილაძეებმა—10 მ.

ეკ. ე. იაშვილისამ—5 მ.

პატარა და-ძმათ **ზენა, მარგო, ილო** **და ნინო** **ივაშვილებმა**—2 მ.

დიმ. ი. მელაშვილმა—2 მ.

რაჟ. ალ. გაჩეჩილაძემ (სად ქარელიდან) **მოელი ოჯახით**—10 მან.

ალ. შიხინოვის აფთიაქში **მოსამსახურეთ**—**ხუთ-ხუთი** **მანათი** [ეკატ. თაქთაქიშვილმა **ალ. რუსაძემ**, **ტრ. ქელბაქიანმა**, **ივ.**, **ეიფეიანმა**, **და ბორის** **კანდელაკმა**. **ვ. ბარნაბიშვილმა**—3 მ., **ვარ. ავალიანმა**—10 მ., **სულ** 38 **მან.**

სენაკის **თავ.-აზ.** **ქართულ** **სკოლის** **მასწავლებლებმა**—**ბოლიკარბე** **ლორთქიფანიძემ** **გიორ. ბოგვერიამ**, **რაჟ. გამსახურდიამ** **და** **კირ. გოძაშვილმა**—**თითო** **თუმანი**, **სულ** 40 **მ.** **ამასთანავე** **იმედოვნებენ** 100 **მან.** **შეკრეფენ.**

ვ. საათაშვილმა (**ბლეხი** **ვანო**)—3 **მ.**

წვრილი ამგები

ოთხშაბათს არტ. თეატრში „ყაჩაღები“

ქართული თეატრის ასაშენებელ ფონდის სასარგებლოდ ამ მოკლე ხანში დ. ხაშურის სავაჭო გიმნაზიის მასწავლებელი ბ. კონსტანტინე გაგუა წაიკითხავს სახალხო ლექციას; „სიცოცხლის აზრის ძიება არჩილ ჯორჯაძის ნაწარმოებში“. ამავე საღამოს გაიმართება კონცერტი მასწავლებელ არ. ღვინიაშვილის ლოტბარობით და დაიდგმის ერთ მოქმედებიანი ვოდევილი.

ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრემ, გრ. ჩარკვიანის წინადადებით, მოილაპარაკა ქართულ თეატრს დაეხმაროს ნივთიერად, რაშიაც მთელი უბანი მიიღებს მონაწილეობას.

ავლაბრის სცენის მოყვარეთა წრე ამ მოკლე ხანში წარმოდგენას გამართავს ქართული თეატრის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლათ.

სახალხო სახლის ქართული წრე მომატებულ ფასიან წარმოდგენის გამართვას აპირებს ქართულ თეატრის ასაშენებელ ფონდის სასარგებლოთ.

სილნაღის სცენის მოყვარეთა ჯგუფი ამ მოკლე ხანში წარმოდგენას გამართავს ქართ. თეატრის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად. წარმოსადგენად განზრახულია „არსენა“ და „ადვოკატთან.“

ახალი თეატრის ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად ივ. პეტ. ფალიაშვილი ივ. პეტ. სარაჯიშვილის მონაწილეობით დიდ სიმფონიურ კონცერტის გამართავს აპირებს სახაზინო თეატრში.

დეპუტატთა საკრებულოს მთელმა შემადგენლობამ გადასდო ჯამაგირის 1% და ყოველთვიურად, სანამ ახალ თეატრი აშენდება.

თბილისის საქალაქო თვითმართველობის ქართველ მოსამსახურეთა ჯგუფმა გადასწყვიტა — მოაგროვოს ერთდროული შემოწირულება ქარ. თეატრის აღსადგენად და ამავე მიზნით მოაწყოს ყოველთვიური შემოწირულების შეგროვება ქალაქის ყველა მოსამსახურეთა შორის.

ხარფუხის კლუბი 7 ღვინობისთვეს საზამთრო ბინაზე გადავიდა.

ახალი კლუბი ამ მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას. ქარ. თეატრთან გაჩენილ ცეცხლისგან უაზარალნია 25,000 მან. მეტი.

თელავის წ. კ. ს. განყოფილებასთან შესდგა კომიტეტი თეატრის სასარგებლოდ შემოწირულებათა შესაკრებად, ხოლო კახეთის სოფელში დაარსდება კომისიები ამავე კომიტეტთან ერთად სამოქმედოთ. კომიტეტში წ. კ. გამგეობის მთელი შემადგენლობის გარდა, კიდევ 14 კაცი აირჩიეს. 5 ოქტ. შემდგარ კრებაზე დამსწრეთა შორის გაიმართა ხელის მოწერა. შეგროვდა 300 მანათამდე.

მოსკოვის უნივერ. არს. ქართველთ სათვისტომო თეატრის ასაშენებელ ფონდის სასარგებლოდ ფულის შეკრებას აპირებს.

ოჩემჩირეში მყოფი ქართველები ფულის შეკრებას აპირებენ ქართ. თეატრის ასაშენებლად.

ქართულ დრამ. დასის წარმოდგენა „არტისტ. საზო. თეატრში“ გაიმართება ოთხშაბათს.

სახალხო თეატრმა, რომელიც აღებული აქვს ბ. ევლახიშვილს, ქართულ დასს 450 მან. მოსთხოვა ღამეში.

არტისტ. საზ. თეატრმა ქართულ დასს წარმოდგენების გასამართავად დაუთმო ოთხშაბათები მხოლოდ ოქტომბერში, ღამეში 250 მან.

ავლაბრის სეზონი დაიწყება კვირას, 19 ღვინობისთვეს. წარმოსადგენად განზრახ. „სამშობლო“.

ხარფუხის წარმ. მმართ. წრის წლიური საზ. კრება სადღეისოდაა დანიშნული. განსახილველია გასული წლის ანგარიშები და მომავალი სამოქმედო გეგმა.

ქართ. დრამ. საზ. საზოგადო კრება მოხდება 26 ღვინობისთვეს.

ავლაბრის სახ. წარ. გამ. წრე ვარშამოვისეულ თეატრში (კახეთის ქ.) აპირებს გადმოსვლას წარმოდგენების გასამართავად.

ქართ. დრამ. საზ. გამ-ის თავმჯდომარ, თავ. პავ. ი. თუმანიშვილი ამ მოკლე ხანში სპარსეთს მიემგზავრება, სადაც ათიოდე დღე მოუგვიანდება,

დრამ. საზ გამგეობა და დასი საჭირო პიესების უქონლობის გამო დიდს გაჭირვებას განიცდიან. სასურველია, თუ ვისმეს მოეპოება ცნობილი და წარმოსადგენად ნებადართული პიესები (ხელთნაწერი ანუ ნაბეჭდი), დრამ. საზ. შესწიროს ბიბლიოთეკის შესადგენად.

დრამატურგმა ი. გედევანიშვილმა თავისი პიესების წარმოდგენათა ჰონორარი სრულიად ქართულ თეატრის ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად გადასდო. ამიტომ ყველამ, ვინც კი მის პიესას წარმოადგენს, სადაც უნდა იყოს, კუთვნილი ჯილდო თეატრის ასაშენებლად შემდგარ კომიტეტს უნდა გაუგზავნოს.

ქართ. დრამ. დასი თვეში თითო წარმოდგენას სახალხო სახლში გამართავს

მწიგნობარობა

მივიღეთ:

„ვინ იყო ილია ჭავჭავაძე“, ამოღებული ჟურ. „მიწიდგან“, გამოცემა იასონ კერესელიძისა №4, ქ. გორი, 1914 წ. 15 გვ. ილია ჭავჭავაძის სურათით ფ. 3 კ.

შეცდომის გასწორება. გასული კვირის ნომერში, მე-16 გვ მე-7 პწკარში დაბეჭდილია „პარიზში“, უნდა იყოს **საფრანგეთში**.

Дозволено военной цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

(წ.—31)

ექ. ვახტანგ ღამბაშიძის
სანატორიუმი
პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე
დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.
მისამართი: თბილისი ექ. ვ. ღამბაშიძე
ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

ექიმები:

ა. ო. იაშვილი

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)
შინაგან ავადმყოფობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
წყნეთის ქ., № 19.

კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს
დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
ბოლოვინის პრ., № 12.

ვ. დ. ღამბაშიძე

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.
ვარდის უბნის ქ. № 9.

ნ. ე. თიქანაძე

(თბილისის საქალაქო მკურნალი)
შინაგან სნეულებათა
დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.
კიროჩნი ქ. № 18

შ. ა. მიქელაძე

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.
საღამოთი 6—7 ს.
მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

გ. ფ. ნათიშვილი

ანისა, ვენერიული და სიფილისისა.
დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

სინათლე ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. **ი. გედევანიშვილისა**, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით. **ფ. 30 კ.** ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба"—Іосифу Имедашвили.

(10—11)

ახალი წიგნი

ლექსები, სცენები და მოთხრობები

ა. მ. ახნაზაროვისა

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. **60 კ.** საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(5—11)

22 აგვისტ. გამოდის ყოველდღიური
საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი
ახალი აზრი
გაზეთი ღირს: 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ. 3 ოვით—2 მ. 50 კ., 1 თვიო თბ.—80 თბ. გარეთ – 90 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი.
კანტორის ადრესი: Тифлисъ, Орбеліановская ул. № 36
ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Теофилу Марковичу Кекелидзе. Тифлисъ, Орбеліановская ул., № 36.
სხვა ადრესით ფულს რედ. ვერი მიიღებს
რედაქციის კან. პირადათ მოლაპარკება შეიძლება დილ. 12—1 ს., საღ. 5—6 ს.

„სორაპანი"-ს გამოცემა
ქართული ეროვნული ბიბლიოთეკა
ყაიბეშეფა და გამოვიდა შედგენილი ი. გომელაურის მიერ, ნაწ. I
ფასი 80 კ.

შრომა
სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური
გაზეთი გამოდის ორშაბათობით.
რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.
ბაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.
ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома"

სტამბა „სორაპანი"
Типографія „Сорапань"

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი

ფასი **50** კ

ვინაიდან ომიანობამ ხე-
ლი შეგვიშალა, ამიტომ **ჯაჯუ ჯორჯიკიას**

თხზულებათ პირველ ტომზე ხელის მოწერას ვაგრძელებთ ენკენისთვის ბოლო რიცხვებამდი. წიგნი ხელის მოწერით ღირს **ათი შაური**. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: ქუთაის „შრომის“ რედქციაში გიგლა მებუკეს. გამომცემლობა „ნარგიზი“.

(5—4)

შექსპირი ქართულად!

გამოცემა *ივანე მაჩაბლის* თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ ***შექსპირის*** რვა ტრაღედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფელირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი შემოსატანი**—1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს**—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება **თბილისში:** ქართვ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) „თეატრის და ცხოვრების“ რედაქციაში (ქართ. თეატრში) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**